

2025 წლის 12 დეკემბერს ინსტიტუტის მუდმივმოქმედი სემინარის - „საინსტიტუტო საუბრების“ მორიგი სემინარი გაიმართა, რომელზეც კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, ისტორიის დოქტორმა, ეთნოლოგმა ნათია ჯალაბაძემ წარმოადგინა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - „მიგრაციები და ახალი ეთნიკური დიასპორების ფორმირება (შედარებითი კვლევა საქართველოსა და სომხეთში)“ (SC-24-248), ფარგლებში შესრულებული სამუშაოს შუალედური ანგარიში.

აღნიშნული პროექტი ხორციელდება კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე.